

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,  
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 3

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

25 მარტი 2019 წელი

13: 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიაძე, შალვა ლორთქიფანიძე, კობა ტოხვაძე, თამარ შენგელია.

საკატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: ოლეგი მიქელთაძე, ვარლამ გიორგაძე, რამაზ არველაძე, გელა ვარდოსანიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

**მოწვეული პირები:** მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ნარგიზი ალფაიძე.

სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - მამუკა ნამიჭეიშვილი.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გელა ჩიკვაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

## დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 თებერვლის N 10 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზის შესახებ;

მომხს.: გელა ჩიკვაძე

2. „ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ;

მომხს.: მამუკა ნამიჭეიშვილი

3.„ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საფეხბურთო კლუბ „სულორი-ვანი“-ს (ს/კ 229660168) წესდების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 12 იანვრის N 20 17 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე ;

მომხს.: ნარგიზი ალფაიძე

4.„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“ (ს/კ 429651717) წესდების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 9 მარტის N 20 352 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე ;

მომხს.: ნარგიზი ალფაიძე

5.სხვადასხვა

**გადაწყვიტეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს :**

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 თებერვლის N 10 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთავრობის ადმინისტრაციიდან მოვიდა წერილი შენიშვნის სახით, კერძოდ; პრეამბულაში უნდა დაემატოს, რომ თუ რომელი კანონის რომელი მუხლით მიიღეს ეს დადგენილება. კომისიის წევრების მხრიდან წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ დაფიქსირებულა. კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი პირველი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 5

წინააღმდეგი - არცერთი

**დაადგინეს:**

დამტკიცდეს „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 თებერვლის N 10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N 2/

### **მოხსენეს :**

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიტორელიძემ ( მომხსენებლის მამუკა ნამიჭიჭიშვილის საპატიო მიზეზის არ ყოფნის გამო) კომისიის წევრებს გააცნო „ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესაბამისად:

1. შერჩეულ იქნას 2019 წელში ვანის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტი (დანართის შესაბამისად ):

კერძოდ;

ვანის მუნიციპალიტეტში ტობანიერის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. ზედა ეწერტობანიერში ხევის (ე.წ. სატობეს დელე) მეწყერული კერის რეგულირება.

კომისიის წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს დღის წესრიგით წარმოდგენის მეორე საკითხს.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი პირველი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 5

წინააღმდეგი - არცერთი

### **დაადგინეს:**

კომისიამ განიხილა და მხარი დაუჭირა „ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

*/დანართი N 3/*

### **მოხსენეს :**

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ კომისიის წევრებს გააცნო „ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საფეხბურთო კლუბ „სულორი-ვანი“-ს (ს/კ 229660168) წესდების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 12 იანვრის N 20 17 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რეორგანიზაციის შედეგად ცვლილება შევიდა საფეხბურთო კლუბ „სულორი-ვანი“-ს წესდებაში. კერძოდ;

საფეხბურთო კლუბის სტრუქტურულ ერთეულებს დაემატა ქ. ვანის გრიგოლ ნიკოლეიშვილის სახელობის ცენტრალური სტადიონი; ქ. ვანის საფეხბურთო სკოლა“.

კომისიის წევრებმა მისცეს თანხმობა წარმოდგენილ მესამე საკითხს.

მომხრე - 5

წინააღმდეგი - არცერთი

**დაადგინეს:**

მიეცეს თანხმობა „ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საფეხბურთო კლუბ „სულორი-ვანი“-ს (ს/კ 229660168) წესდების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 12 იანვრის N 20 17 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

*/დანართი N 4/*

**მოისმინეს :**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ კომისიის წევრებს გააცნო „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“ (ს/კ 429651717) წესდების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 9 მარტის N 20 352 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილება მოხდა სასპორტო დაწესებულების გაერთიანების წესდებაში. კერძოდ: წესდების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გაერთიანების სტრუქტურული ერთეულია: ქ. ვანის კომპლექსური სასპორტო სკოლა (საბრძოლო ხელოვნება, რაგბი, მძლეოსნობა, ჭიდაობა, ჭადრაკი, კალათბურთი.)

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხს.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი მეოთხე საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 5

წინააღმდეგი - არცერთი

**დაადგინეს:**

მიეცეს თანხმობა განკარგულების პროექტს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“ (ს/კ 429651717) წესდების

დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 9 მარტის N 20 352 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

*/დანართი N 5/*

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გელა ჩიკვაიძე  
საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,  
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის  
კომისიის სხდომის თავმჯდომარე